ტექნიკური დავალება

მიკროავტობუსით მომსახურების შესყიდვა

1. შესყიდვის საგანი და მიზანი

შესყიდვის საგანს წარმოადგენს მიკროავტობუსით მომსახურების გაწევა დამკვეთის სამშენებლო სამსახურის ჯგუფის თანამშრომლების, აგრეთვე მათი სამუშაოსთვის საჭირო ხელსაწყოების, ინვენტარის, სამშენებლო მცირე ზომის მასალებისა და სხვა აღჭურვილობის ტრანსპორტირების მიზნით.

მომსახურება უნდა განხორციელდეს დამკვეთის ფაქტობრივი საჭიროებების, მის მიერ განსაზღვრული სამუშაო გრაფიკისა და კონკრეტული დავალებების შესაბამისად.

2. მომსახურების არეალი

მომსახურების ძირითადი არეალია:

- ქ. თბილისი, მათ შორის თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი და ე.წ. შემოერთებული ტერიტორიები;
- ქ. რუსთავი;
- ქ. მცხეთა.
- ქ. გარდაბანი

დამკვეთის დავალებით, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს გადაადგილება აღნიშნულ არეალში მდებარე სამუშაო ობიექტებს, ცენტრალურ საწყობსა და ე.წ. ფეიქრების ბაზას შორის.

3. მიკროავტობუსის დანიშნულება და ტევადობა

მიკროავტობუსმა უნდა უზრუნველყოს სამშენებლო სამსახურის 4 (ოთხი) თანამშრომლის უსაფრთხო და კომფორტული ტრანსპორტირება და ამავე დროს უნდა იძლეოდეს ჯგუფისთვის საჭირო ხელსაწყოების, ინვენტარის, მასალებისა და სხვა სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხოდ განთავსებისა და გადატანის შესაძლებლობას.

მგზავრებისა და ტვირთის განთავსება არ უნდა არღვევდეს სატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის მიერ დადგენილ დატვირთვის ნორმებსა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. ტვირთი უნდა იყოს სათანადოდ დამაგრებული და არ უნდა ზღუდავდეს მძღოლის ხედვის არეს ან მგზავრთა უსაფრთხოებას.

4. მომსახურების ორგანიზება და გადაადგილებები

სამუშაოების მიმდინარეობისას შესაძლოა წარმოიშვას დამატებითი ხელსაწყოების, ინვენტარის ან სამშენებლო მასალების საჭიროება. შესაბამისად, დამკვეთის მითითებით, ერთი სამუშაო სმენის განმავლობაში მიმწოდებელს შეიძლება დაევალოს:

- სამუშაო ობიექტიდან ცენტრალურ საწყობში (ქ. თბილისი, წყალსადენის N7) ან ფეიქრების (ქ.თბილისი, ფექრების ქუჩა N30) ბაზაზე დაბრუნება;
- ცენტრალური საწყობიდან ან ფეიქრების ბაზიდან ხელსაწყოების, ინვენტარისა და მასალების სამუშაო ობიექტზე მიტანა;
- აღნიშნული მარშრუტების რამდენჯერმე შესრულება;
- ერთი სამუშაო სმენის განმავლობაში ერთზე მეტ სამუშაო ლოკაციაზე გადაადგილება, მათ შორის ერთსა და იმავე ან ერთმანეთის მიმდებარე რაიონებში მდებარე ობიექტებს შორის.

ზემოაღნიშნული გადაადგილებები წარმოადგენს მომსახურების შემადგენელ ნაწილს და არ ექვემდებარება ცალკე ანაზღაურებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დამკვეთი წინასწარ წერილობით შეუთანხმდება მიმწოდებელს მომსახურების არეალის ფარგლებს გარეთ გადაადგილებაზე.

ძირითადად, ერთი სმენის განმავლობაში ჯგუფი მუშაობს ერთ ობიექტზე. საორიენტაციოდ, თვეში 1–2 სმენის განმავლობაში შესაძლოა საჭირო გახდეს ერთზე მეტ ლოკაციაზე მომსახურება.

5. სამუშაო რეჟიმი და სავარაუდო მოცულობა

მომსახურების სავარაუდო დატვირთვა შეადგენს თვეში საშუალოდ 20–25 სამუშაო სმენას. აღნიშნული რაოდენობა მოიცავს როგორც დღის, ისე საჭიროების შემთხვევაში ღამის სმენებს; ღამის სმენების სავარაუდო რაოდენობაა თვეში 2–3.

ერთი სტანდარტული სამუშაო სმენის ხანგრძლივობა შეადგენს 8 საათს. დამკვეთის საჭიროებიდან გამომდინარე, ცალკეულ შემთხვევებში სმენა შეიძლება გაგრძელდეს 10–12 საათამდე.

კონკრეტული სამუშაო დღეების, სმენების დაწყებისა და დასრულების დროისა და სამუშაო ადგილის შესახებ მიმწოდებელს ეცნობება დამკვეთის მიერ წინასწარ, სამუშაო დავალების შესაბამისად.

6. შვებულების პერიოდი და მომსახურების შეჩერება

სამშენებლო სამსახურის ჯგუფი სარგებლობს 24 სამუშაო დღის შვებულებით. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის ყველა წევრი შეთანხმებულად ისარგებლებს შვებულებით და მომსახურების საჭიროება არ იარსებებს, შესაბამის პერიოდში მიკროავტობუსის მომსახურება არ იქნება მოთხოვნილი.

მომსახურების ფაქტობრივად გაუწეველი დღეები/სმენები არ ჩაითვლება შესრულებულ მომსახურებად და არ ანაზღაურდება. მიმწოდებელს არ წარმოეშობა მომსახურების მინიმალური მოცულობის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუ ასეთი ვალდებულება ხელშეკრულებით ცალკე არ იქნება განსაზღვრული.

7. სავარაუდო გარბენი

მიკროავტობუსის სავარაუდო ყოველთვიური გარბენი შეადგენს 1 200–1 700 კმ-ს. აღნიშნული მაჩვენებელი საორიენტაციოა და შესაძლოა შეიცვალოს სამუშაო ობიექტების მდებარეობის, სამუშაო დავალებებისა და ფაქტობრივად შესრულებული სმენების რაოდენობის შესაბამისად.

მიმწოდებელმა ფასის შეთავაზებისას უნდა გაითვალისწინოს, რომ ფაქტობრივი გარბენი შეიძლება განსხვავდებოდეს მითითებული დიაპაზონისგან. ფასის შემადგენლობაში უნდა იყოს გათვალისწინებული მომსახურების არეალში დამკვეთის დავალებით შესასრულებელი ყველა გადაადგილება.

8. სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური და საექსპლუატაციო მოთხოვნები

მომსახურების მთელი პერიოდის განმავლობაში მიკროავტობუსი უნდა იყოს:

- ტექნიკურად გამართული და უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის ვარგისი;
- უზრუნველყოფილი მწარმოებლის მოთხოვნებისა და მოქმედი წესების შესაბამისი პერიოდული ტექნიკური მომსახურებით;
- სუფთა და სათანადო სანიტარიულ მდგომარეობაში;
- მგზავრებისა და გადასატანი ხელსაწყოების, ინვენტარისა და მასალების უსაფრთხო ტრანსპორტირებისთვის ვარგისი.

მიკროავტობუსს უნდა გააჩნდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო დოკუმენტი, ნებართვა/დაშვება (თუ ასეთი მოთხოვნა ვრცელდება) და სავალდებულო დაზღვევა. სატრანსპორტო საშუალებას უნდა მართავდეს შესაბამისი კატეგორიის მოქმედი მართვის მოწმობის მქონე მძღოლი.

9. მძღოლის ვალდებულებები

- დროულად გამოცხადდეს დამკვეთის მიერ განსაზღვრულ ადგილსა და დროს;
- უზრუნველყოს თანამშრომლების უსაფრთხო ტრანსპორტირება და საგზაო მოძრაობის წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვა;
- უზრუნველყოს ხელსაწყოების, ინვენტარისა და მასალების უსაფრთხოდ განთავსება და ტრანსპორტირება;
- დამკვეთის მითითებით გადაადგილდეს სამუშაო ობიექტებს, ცენტრალურ საწყობსა და ფეიქრების ბაზას შორის;
- სატრანსპორტო საშუალების გაუმართაობის ან მომსახურების შეფერხების რისკის წარმოშობისთანავე აცნობოს დამკვეთს და უზრუნველყოს შესაბამისი ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალების გამოყოფა ისე, რომ მომსახურება არ შეფერხდეს.

10. მომსახურების ხარისხი, აღრიცხვა და ანაზღაურება

მომსახურების მოცულობა განისაზღვრება დამკვეთის მიერ გაცემული დავალებებისა და ფაქტობრივად შესრულებული სმენების მიხედვით. მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს შესრულებული

სმენების აღრიცხვა, რომელშიც აისახება თარიღი, სმენის დაწყებისა და დასრულების დრო, საწყისი და საბოლოო გარბენი (ოდომეტრის ჩვენება) და დამკვეთის წარმომადგენლის მიერ დადასტურებული მომსახურება.

ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ფაქტობრივად და სათანადოდ დადასტურებული მომსახურების საფუძველზე, ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასებისა და პირობების შესაბამისად.

ანგარიშსწორება შესრულდება თვის ბოლოოს დაანგირეშებული დღეების მიხედვით, მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღის განმავლობაში.

ფასის შეთავაზება უნდა მოიცავდეს მომსახურების სრულ თვითღირებულებას, მათ შორის მძღოლის მომსახურებას, საწვავს, სატრანსპორტო საშუალების მოვლა-შეკეთებას, საბურავებს, დაზღვევას (საჭიროებას შემთხვევაში), გადასახადებსა და მომსახურების გაწევისთვის საჭირო სხვა ხარჯებს. დამატებითი ხარჯის ანაზღაურება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წინასწარ არის შეთანხმებული დამკვეთთან და გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

11. სავარაუდო მოცულობების სტატუსი

ტექნიკურ დავალებაში მითითებული სმენების რაოდენობა, ღამის სმენების რაოდენობა, სამუშაო საათები და გარბენი წარმოადგენს მხოლოდ საორიენტაციო მაჩვენებლებს და არ წარმოადგენს დამკვეთის მიერ მომსახურების კონკრეტული მოცულობის სავალდებულო შესყიდვის გარანტიას.

მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება უზრუნველყოს დამკვეთის ფაქტობრივი საჭიროებისა და სამუშაო დავალებების შესაბამისად, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და ხარისხის მოთხოვნების დაცვით.